სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

2019 წლის ანგარიში

კოლეჯს 2019 წლიდან 6 წლის ვადით მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულლებია - ინჟინერია, ხელოვნება, ბიზნესის ადმინისტრირება და სხვა. ამ დროისათვის, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს მე-3-4-5 საფეხურის/დონის პროგრამები:

- **ბუღალტრული აღრიცხვა (საშუალო);**
- **ვებპროგრამისტი, (საფეხური V);**
- **ინფორმაციის ტექნოლოგია, (საბაზო);**
- **ინფორმაციის ტექნოლოგია, (საბაზო), „დუალური“ მიდგომით;**
- **კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, (საფეხური V);**
- **კომპიუტერული ქსელი და სისტემები, (საშუალო);**
- **საფინანსო სერვისები, (საბაზო);**
- **საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი, (საფეხური III);**
- **სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი), (საფეხური IV);**
- **საოფისე საქმე, (საბაზო);**
- **სამკერვალო წარმოება, (საბაზო);**
- **აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება, (საშუალო);**

<u>სტუდენტთა კონტინგენტი</u> - ამ ეტაპისთვის, კოლეჯის სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი განსაზღვრულია **436 პროფესიული სტუდენტით**, რაც სრულად კომპლექტდება საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებებისათვის. სამომავლოდ, დაგეგმილია გაიზარდოს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა არანაკლებ **900**-მდე, ახალი პროგრამების დამატებისა და სასწავლო სახელოსნოების ამოქმედების გზით.

კოლეჯში ფუნქციონირებს სასწავლო დანიშნულების 22 აუდიტორია/ლაბორატორია. სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებისა და ხარისხის გაზრდისათვის კოლეჯი აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკით. ამან სათანადოდ უზრუნველყო კომპიუტინგი/ინფორმატიკის მიმართულების ახალ პროფესიულ პროგრამებზე (მაგ. *„ინფორმაციის ტექნოლოგია“, „ვებპროგრამისტი“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“*) სწავლების ინფრასტრუქტურული მოწყობა. ვინაიდან იგეგმება გაიზარდოს სტუდენტთა რაოდენობა ახალი პროგრამების დანერგვისა და სიმძლავრეების გაზრდის/ოპტიმიზაციის გზით, დამატებითი აღჭურვა სამომავლოდ გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ახალი პროგრამების ავტორიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესში.

<u>პარტნიორობა კერძო სექტორთან</u> - აქტუალურია პარტნიორობა კერძო სექტორთან. ამისათვის, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან. კოლეჯის ძირითადი მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროში კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდა, რათა სტუდენტებმა შეძლონ სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკის გავლა, რაც გულისხმობს კოლეჯის სტუდენტთა სამუშაო გარემოსთან შეგუებას და პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების

გამომუშავებას/დახვეწას. პროგრამებიდან გამომდინარე, 2019 წელს კოლეჯის მიერ გაფორმდა 130-მდე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროებში ჩართულ კომპანიებთან. ისინი აქტიურად არიან ჩართულები პროგრამების სტანდარტების შემუშავების, სწავლების მიმდინარეობისა პროცესში და აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ცვლილების შეტანის ეტაპზე. მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა სტაჟირების პროგრამაც.

ვთანამშრომლობთ და მაქსიმალურ გათვლას ვახდენთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებული იყვნენ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ვაქვეყნებთ ინფორმაციებს სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

2019 წელს კოლეჯში გაიმართა რამდენიმე დასაქმების ფორუმი, რომლებიც ინიცირებული იყო, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ, ესენია: „ნიკორა“, „სპარი“, „ლიბერთი ბანკი“, „news group”, „ჯი-პი-აი“, „ირაო“, „გორგია“, „Sales Partner Group”, „Flexmedia”, „WORCO”, „კარფური“ და სხვა. დასაქმების ფორუმებზე სტუდენტებთან ერთად აქტიურობდნენ კოლეჯის კურსდამთავრებულებიც.

<u>თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე</u> - კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ყველა რგოლთან, განსაკუთრებით გლდანის რაიონის მუნიციპალურ და ქ. თბილისის საქალაქო სამსახურების დონეზე, მიმდებარე საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან. შედეგად, მობილიზებულ იქნა ყველა რესურსი თბილისიდან და რეგიონებიდან კოლეჯში სწავლების მეტი მსურველის მოსაზიდად.

<u>თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან</u> - ეს თანამშრომლობა მოიცავს პარტნიორობას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციებისა და დატრენინგების კუთხით, ასევე კოლეჯისთვის სხვადასხვა მასალებისა და მოწყობილობების გადაცემას, კონსულტაციებსა და ტრეინინგ-სემინარებს.

<u>განხორციელებული ღონისძიებები</u> - 2019 წელს მუდმივად მიმდინარეობდა კოლეჯში სამიზნე ჯგუფების ვიზიტების ორგანიზება და რეალურ გარემოში პროფესიული სწავლების პრეზენტაცია. ინფორმაციები ვრცელდებოდა სხვადასხვა გზით - სოციალური ქსელითა თუ კოლეჯის ვებგვერდით (ბუკლეტების, ფლაერების, სხვა საინფორმაციო მასალის მომზადება და სამიზნე ჯგუფებში გავრცელება). კოლეჯში სტუდენტური კონკურსების, შემოქმედებითი, კულტურული, სპორტული, ინტელექტუალური და სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვამ, ორგანიზებამ და განხორციელებამ შექმნა დამატებითი ფაქტორები პროფესიული განათლებით დაინტერესებულთა მოზიდვის კუთხით.

შედეგად კოლეჯში ორგანიზებული ღონისძიებების ფარგლებში საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, კიდევ უფრო გაიზარდა პროფესიული სწავლების პოპულარულობა. საბოლოოდ, გამოცდილებამ ცხადყო, რომ საზოგადოებასთან მჭიდრო კომუნიკაციით მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები მივიღეთ და შედეგად პროფესიული სწავლების დაინტერესება მკვეთრად გაიზარდა.

- 2019 წლის 13 თებერვალს კოლეჯი მასპინძლობდა კანადის კოლეჯებისა და ინსტიტუტების ასოციაციის (CIC) წარმომადგნელობას ვიცე-პრეზიდენტის, ალან როის ხელმძღვანელობით. ასოციაცია 1972 წლიდან ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროში. აღნიშნული შეხვედრა ემსახურებოდა საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის გაცნობას, მექატრონიკის, საწარმოო ავტომატიკის პროგრამების განვითარებას, დუალურ პროგრამებს, მასწავლებელთა გადამზადებას და ა.შ. კომპანიის წარმომადგენლები გაეცნენ პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს, პროფესიული ტესტირებისა და ჩარიცხვის პროცედურებს, დაფინანსების მოპოვების რეგულაციებს.
- 2019 წლის 22-23 თებერვალს საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯია“-ში გაიმართა უმაღლესი და პროფესიული განათლების მე-9 საერთაშორისო გამოფენა, სადაც მსოფლიოს ასამდე საგანმანათლებლო დაწესებულება

მონაწილეობდა, მათ შორის, კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“. ფესტივალის ფარგლებში, კოლეჯის საგამოფენო სივრცეში მოსულმა დამთვალიერებლებმა სტუდენტების ნამუშევრების ხილვა და პროფესიულ პროგრამებზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეძლეს.

- 2019 წლის 26 მარტს კოლეჯის სტუდენტებისთვის გაიმართა WORKSHOP: „პროდუქტის და სერვისის შექმნის ინოვაციური მეთოდოლოგია“ აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით, კალიფორნიის უნივერსიტეტის, დევისის D-Lab-თან პარტნიორობითა და ევროპული სამეწარმეო კომპეტენციის ჩარჩოს პრონციპების დანერგვის მიზნით. 2 საათიანი ვორქშოფისას მონაწილეებმა გაიარეს სრული პროცესი ინტენსიური, ინტერაქტიული და სახალისო აქტივობების სახით.
- კოლეჯმა დამოუკიდებლობის დღე ქუთაისში აღნიშნა, სადაც 26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე პროფესიული განათლების დაწესებულებები მონაწილეობდნენ. წარმოვადგენეთ ხელნაკეთი ნივთები, 3D პრინტერის ნაწარმი, კომპიუტერული გრაფიკის სტუდენტთა ნამუშევრები, თექის ნაწარმი და ამით დამთვალიერებლებს საშუალება მიეცა პირადად მიეღოთ მონაწილეობა ხელნაკეთი ნივთების დამზადებაში.
- 2019 წლის 4 ივნისს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა, სადაც *კოლეჯს 2018-2019 სასწავლო წელს გამართულ პროექტებში მონაწილეობისა და კონკურსში გამარჯვებისათვის სპეციალური სერტიფიკატები გადასცეს.*
- 2019 წლის 15-16 ივნისს, რესპუბლიკის მოედანზე ქართულ-გერმანული დღეები გაიმართა. კოლეჯის სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც საორგანიზაციო საკითხებში, ისე კონფერენციებში. ღია ცის ქვეშ მოწყობილ სივრცეში კოლეჯი პროფორიენტაციას უწევდა მოსულ დამთვალიერებელს და აცნობდა მიმდინარე პროგრამებს.
- 2019 წლის მაისი-ივლისის პერიოდში საქართველოში აშშ საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში კოლეჯში განხორციელდა ინიციატივა *„მეწარმეობის ინოვაციური კურსი“* პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებისთვის კალიფორნიის უნივერსიტეტის UC-Davis-ის ინოვაციების ლაბორატორიის D-Lab-ის მხარდაჭერით. კოლეჯმა პირველმა უზრუნველყო ევროპული სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოს რეკომენდაციით შექმნილი ახალი მოდულის პილოტირება.
- 2019 წლის 26 ივლისს IT-მხარდამჭერის სპეციალობაში მე-2 სტუდენტური ოლიმპიადის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. საუკეთესო 4 სტუდენტს შორის იყო კოლეჯის ინფორმაციის ტექნოლოგიის სტუდენტი გიორგი ზაალიშვილი, რომელმაც საპრიზო მე-4 ადგილი მოიპოვა. ღონისძიების პარტნიორები იყვნენ: საერთაშორისო ორგანიზაცია „ვორლდ ლინკი“, საქართველოს რეგიონალური პროვაიდერების ასოციაცია, შპს „ორიენტ-ლოჯიკი“, შპს „სქაჰაი“ და ფოთის საერთაშორისო ტერმინალი, რომლებმაც უზრუნველყვეს წარმატებული სტუდენტების სტაჟირება თავიანთ კომპანიებში და გადასცეს სხვადასხვა პრიზები.
- 2019 წლის 29 ოქტომბერს კოლეჯში გაიმართა მასშტაბური ღონისძიება _ საქართველოს მთავრობამ და ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში ოფიციალურად გახსნეს „განათლება დასაქმებისთვის“ (skills4jobs) პროგრამის მეორე ფაზა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო „პროფესიული განათლებისა და შრომითი ბაზრის განვითარების მხარდაჭერის ახალი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტები, ასევე მოეწყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დასაქმების ინტერაქტიული გამოფენა.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხადაჭერით ერთთვიანი კამპანია დაიწყო, რომლის ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამიზნე ჯგუფებთან იმართება საინფორმაციო შეხვედრები. 2019 წლის 27 ნოემბერს შეხვედრა გაიმართა ჩვენს კოლეჯში, სადაც ვეტერანმა მორაგბეებმა - ლექსო გუგავამ და ნოდარ ანდღულაძემ პოპულარიზაცია გაუწიეს პროფესიულ განათლებას. შეხვედრის შემდეგ, მოეწყო პრაქტიკული სამუშოები და სიმულაციები, სადაც მოსწავლეებს მიეცათ საშუალება, მოესინჯათ გარკვეული პროფესიები პროფორიენტაციის მიზნით.

კოლეჯს მომავალში მნიშვნელოვანი გამოწვევები აქვს დაგეგმილი და მდგრადი განვითარებისათვის, საზოგადოებასთან მჭიდრო კომუნიკაცია და მათი ინფორმირება უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

ახალი პროგრამები - 2019 წელს კოლეჯმა დაიმატა 2 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: **„სამკერვალო წარმოება“** და **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“**, რომელთა დამატების მიზანშეწონილობა კურსდამთავრებულთა და აპლიკანტთა მოთხოვნის მაჩვენებლებზე დაყრდნობით გამოიკვეთა.

ავტოტექმომსახურების სფეროს მოთხოვნადი პროგრამის, **„სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება“** ჩანაცვლება მოითხოვს შესაბამისი სახელოსნოსა და მოწყობილობების გამართვას, რაც გაზრდის სასწავლო პრაქტიკის ხარისხს და გააუმჯობესებს საბოლოო შედეგებზე გასვლის პროცესს. ასევე 2020 წელს დაგეგმილია მოდიფიცირების პროცესში არსებული პროგრამის, **„მძიმე სამშენებლო მანქანების ოპერატორი“** დამატება. აღნიშნულზე სამინისტრომ რამდენჯერმე გვიშუამდგომლა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, რათა ის გათვალისწინებულ იქნას 2020 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში. *ყველა ეს პროგრამა სტუდენტთა რაოდენობას გაზრდის 160 სტუდენტით (თითოეულ სპეციალობაზე 20-20 სტუდენტი ორ ცვლაში).*

იგეგმება დაინერგოს ისეთი მოთხოვნადი მოდულური პროგრამა, როგორიცაა **„ციფრული ხელოვნება“** (კონცენტრაციები: **„გრაფიკული დიზაინის შესრულება“** და **„ინდუსტრიული დიზაინის შემსრულებელი“**- FABLAB-ის ბაზაზე). მათი განხორციელების უფლების მიღება დამოკიდებულია 2020 წელს საჭირო აღჭურვილობის შესაძენად ფინანსური რესურსების დროულ მობილიზებაზე. *ყველა ეს პროგრამა სტუდენტთა რაოდენობას გაზრდის 80 სტუდენტით* (თითოეულ სპეციალობაზე 20-20 სტუდენტი ორ ცვლაში).

2020 წლის საგაზაფხულოდ დაინერგება ახალ პროგრამა *„ვებტექნოლოგიები“* - *28 სტუდენტით.*

იგეგმება არსებულ პროგრამაზე *„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ - კონტიგენტის გაზრდა 40 სტუდენტამდე).*

პროგრამების მიხედვით არსებული კვოტები და მიღებულ სტუდენტთა თანაფარდობა - 2018 წლიდან კოლეჯი მოდულურ პროგრამებზე სრულად გადავიდა, რაც განხორციელდა შრომის ბაზრის რეალური მოთხოვნების გათვალისწინებისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე.

2019 წლის საგაზაფხულო მიღების სტატისტიკა:

საგანმანათლებლო პროგრამა	გამოცხადებული ადგილების რ-ბა	რეგისტრირებული აპლიკანტები	ჩარიცხული აპლიკანტები	სსსმ
საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	14	122	12	0
ინფორმაციის ტექნოლოგია	40	192	34	0
საოფისე საქმე	20	149	19	0
საფინანსო სერვისები	13	157	8	1
ბუღალტრული აღრიცხვა	38	258	38	0
ჯამი	125	878	111+3 (არაქართულენოვანი)	1

2019 წლის საშემოდგომო მიღების სტატისტიკა:

საგანმანათლებლო პროგრამა	გამოცხადებული ადგილების რ-ბა	რეგისტრირებული აპლიკანტები	ჩარიცხული აპლიკანტები	სსსმ
საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	9	79	7	2
ინფორმაციის ტექნოლოგია (დუალური მიდგომით)	5	16	5	0
ინფორმაციის ტექნოლოგია	40	162	38	0
საოფისე საქმე	13	120	19	0
საფინანსო სერვისები	30	122	8	0
ბუღალტრული აღრიცხვა	15	211	38	1
კომპიტერული ქსელი და სისტემები	13	81	13	0
ვებპროგრამისტი	14	73	12	1
სამკერვალო წარმოება	32	53	25	0
აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	20	962	20	0
ჯამი	191	962	185	4

<u>დუალური სწავლება</u> - 2019 წლის საშემოდგომო მიღებაზე პირველად განხორციელდა დუალურ პროგრამაზე მიღება, კერძოდ, შპს „სქაი ჰაი“-სთან თანამშრომლობით, საშემოდგომო მიღებაზე დუალურ პროგრამაზე *<u>„ინფორმაციის ტექნოლოგია“</u>* ჩაირიცხა **5 სტუდენტი**.

<u>პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა</u> - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში, კოლეჯმა პროფესიული უნარების კურსები - **„ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“** და **„ინფორმაციის ტექნოლოგია“** განახორციელა **23 საჯარო სკოლაში**, მათ შორის, რეგიონებშიც. აღსანიშნავია, რომ კურსები განხორციელდა როგორც სკოლების ბაზაზე, ისე კოლეჯში. „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ სასერტიფიკატო კურსები ჯამში **336 საჯარო სკოლის მოსწავლემ** დაასრულა.

<u>სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა</u> - საქართველოს მთავრობის „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ერთად 2019 წელს ორჯერ განხორციელდა 6 მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა („ბუღალტრული აღრიცხვა“, „ოფისის მენეჯერი“, „ინფორმაციული ტექნოლოგი“, „კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი“, „კომპიუტერული გრაფიკოსი“, „ვებ-პროგრამისტი“), რომლებიც პირველ ეტაპზე დაასრულა **60**, ხოლო მეორე ეტაპზე - **58 მსმენელმა**.

<u>კოლეჯი განსაკუთრებული თანამშრომლობისთვის 2019 წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტულით დაჯილდოვდა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტისგან მას საპატიო ჯილდო და გამარჯვებულის სერტიფიკატი გადაეცა.</u>

<u>პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი გზა</u> - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტის „პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი გზა“ ფარგლებში, კოლეჯში განხორციელდა 6 მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა, რომელზეც ჩაირიცხა **114 მსმენელი**. კურსის წარმატებით დასრულებისთვის სერტიფიკატები გადაეცა **85 მსმენელს**. ამჯერად მეორე ეტაპზე სწავლება მიმდინარეობს 3 პროგრამაზე.

<u>თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეების სწავლება</u> - 2019 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეების სწავლების ხელშეწყობის, პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა გადამზადების 2 მოკლევადიანი პროგრამა **„ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი“** და **„მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი“**, აღნიშნული პროგრამები წარმატებით დაასრულა **22 სამხედრო მოსამსახურემ**.

<u>მომზადება-გადამზადების პროგრამები:</u>

- ესტონურ მხარესთან პარტნიორობით, კერძოდ, ტალინის ეკონომიკური სკოლისა და პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ინიციატივით ერთობლივად შემუშავდა სოციალური მედიის მართვის ახალი სატრენინგო პროგრამა, რომელიც პირველ ეტაპზე კოლეჯში დაინერგება. ესტონეთის ელჩის - კაი კარელსონის მონაწილეობით 2019 წლის 1 ნოემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა პროფესიული მომზადების პროგრამის **„სოციალური მედიის მართვა“** წარდგინება, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეს შეესაბამება.
- 2019 წლის 16 ივლისს კოლეჯმა GIZ-ის წარმომადგენლებს უმასპინძლა. გაიმართა სამუშაო შეხვედრა „ლოგისტიკისა და პორტის მენეჯმენტის“ პროფესიული პროგრამისა და ამ პროგრამის ფარგლებში შექმნილი **„საწყობის ლოგისტიკის ოპერატორის“** პროფესიული მომზადების პროგრამის დანერგვის თაობაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ საწარმოო პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები. GIZ-ის მხარდაჭერით, ასევე, მომზადებულია

„ინტერფეისის დიზაინის“ პროფესიული მომზადების პროგრამა. აღნიშნული მოკლევადიანი კურსები 2020 წელს განხორციელდება.

<u>ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</u> - 2020 წლისთვის კოლეჯში დაინერგება საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ინტეგრირების მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით. კოლეჯი შერჩეულია, როგორც **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“** ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება. აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით, 2019 წელს 2 ეტაპად გაიმართა პროფესიული განათლების მასწავლებლების ღია კონკურსი და შეირჩა ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 26 კანდიდატი. ისინი გადამზადებიან გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე.

<u>სტუდენტთა საჭიროებები</u> - კოლეჯი ძირითადად ორიენტირებულია სტუდენტების მოზიდვით თბილისისა და მისი მიმდებარე რაიონებიდან, თუმცა სპეციფიური სასწავლო პროგრამებიდან გამომდინარე, დიდია დაინტერესება მთიანი და საზღვრისპირა რეგიონებიდან. სტუდენტების ნაწილი კოლეჯში დადის დედაქალაქის მიმდებარე დასახლებებიდან, რაც უქმნით პრობლემებს ბინით უზრუნველყოფისა და გადაადგილებაში. მახალდიანის ქ.-ზე არსებული უძრავი ქონების გამოყენებას განვიხილავთ 2 მიმართულებით - სტუმრების განთავსების ან/და დამატებითი სასწავლო გარემოს (სასწავლო ცენტრის) მოწყობის კუთხით, რაც გაზრდის კოლეჯში სწავლის მსურველთა რაოდენობასა და გეოგრაფიულ არეალს, მათ მოტივაციას და შემდგომი დასაქმების პერსპექტივებს.